



## განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

22.11.2023



## დასკვნის მომზადების მიზანი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი: დიანა

გვარი: მჭედლიშვილი



## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	247865289

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	კვალიფიკაციის დონე <sup>1</sup>	კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს VI დონე
3	კვალიფიკაციის დასახელება	-
4	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით	ზოგადი განათლების საგნები/საგნების ჯგუფი (აირჩიეთ ერთი): <ul style="list-style-type: none"> <li>• ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური);</li> <li>• მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური);</li> <li>• ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);</li> <li>• ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური);</li> <li>• ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური);</li> <li>• სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);</li> <li>• სპორტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური).</li> </ul>
5	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) <sup>2</sup>	0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
6	სწავლების ენა	ქართული
7	ECTS კრედიტების რაოდენობა	60
8	განხორციელების ადგილი <sup>3</sup>	შუახვევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაკიძეები, დაბა ხიჭაური
9	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაცია 4 ნოემბერი 2022, №1425437 (ცვლილება - 4 ოქტომბერი 2023, №1304444)

<sup>1</sup>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

<sup>2</sup>განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

<sup>3</sup>ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



10	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	4 ნოემბერი 2022
11	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი (2023 წლის 04 ნოემბრამდე)
12	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	1 ივლისი 2025

**საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით**

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შედეგების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		



## შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი<sup>4</sup>

1. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიტანოს კვლევის დაგეგმვა და განხორციელება პროგრამის სწავლის შედეგებში, როგორც ამას ის უკვე გეგმავს. (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა);
2. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, კერძოდ, საერთაშორისო პარტნიორებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის გახსნა, სტუდენტების მობილობაში ინვესტირება, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში და ა.შ.
3. უსდ-მ უნდა დაუჭიროს მხარი პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესებას, რაც ძალიან სასარგებლო იქნება პროგრამების განვითარებისთვის, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისთვის.
4. უსდ-მ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის კონტროლისთვის, რაც მოიცავს მათ დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც.
5. უსდ-მ უნდა დაუჭიროს მხარი მის აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო პროდუქტიულობის გაძლიერების მიზნით, განსაკუთრებით, მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებისათვის და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობისთვის.
6. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებული სამეცნიერო ბაზები იყოს სისტემატურად ხელმისაწვდომი აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის.
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააქტიუროს მუშაობა (ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები), რომ მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს უკეთ ფორმულირება სწავლა-სწავლების შეფასების შედეგების (გაზომვადი ზომების გამოყენება); ეს გაამარტივებს სწავლა-სწავლების პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას შემდეგ ეტაპებზე.
8. რეკომენდირებულია, რომ ჩატარდეს ბაზრის სიღრმისეული კვლევა და პროგრამების საჭიროებების კვლევა მასწავლებლების მომზადების მიზნით, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის. და, უნდა განვითარდეს ჩართული მხარეების გამოკითხვის ეფექტური ინსტრუმენტი, იგივე მიზნისთვის.
9. რეკომენდირებულია სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ანალიზი გაკეთდეს ყოველ სემესტრში, რადგან ეს შესაძლებელია გახდეს ფუნდამენტი მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის, რაც უნდა განხორციელდეს, როგორც არის სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლისა და შეფასების მეთოდების ან შეფასების ფორმების ცვლილება და ა.შ.

---

<sup>4</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>5</sup>

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 4 ნომბრის №1425437 გადაწყვეტილების საფუძველზე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს განესაზღვრა 9 რეკომენდაცია. შეიქმნა რეკომენდაციების შესრულებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, სადაც შედიოდნენ როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. დაწესებულება ორიენტირებული იყო რეკომენდაციების შესრულებაზე. ექსპერტმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასთან თანდართული დოკუმენტაცია. შეფასდა რეკომენდაციების შესრულების საკითხი. განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულება შეფასდა შემდეგნაირად:

**რეკომენდაცია 1 - შესრულებულია**

**რეკომენდაცია 2 - შესრულება დაწყებულია**

**რეკომენდაცია 3 - შესრულებულია**

**რეკომენდაცია 4 - შესრულებულია**

**რეკომენდაცია 5 - ნაწილობრივ შესრულებულია**

**რეკომენდაცია 6 - მეტწილად შესრულებულია**

**რეკომენდაცია 7 - შესრულებულია**

**რეკომენდაცია 8 - შესრულებულია**

**რეკომენდაცია 9 - შესრულებულია**

### რჩევ(ებ)ი<sup>6</sup>

1. განიხილეთ პროგრამის ცალკეულ მიზნებს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერების შესაძლებლობა.
2. ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურა უნდა განახლდეს უახლესი ვერსიებით.
3. უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს მემორანდუმები რეგიონის სხვა სკოლებთან, რათა მის სტუდენტებს სასკოლო პრაქტიკის უფრო მრავალფეროვანი შესაძლებლობები მისცეს. აშკარაა, რომ უკეთესი იქნება სტუდენტებისთვის, თუკი მეტი ისეთი სკოლა ექნებათ, სადაც მათი პრაქტიკული აქტივობები განხორციელდება.

<sup>5</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია

<sup>6</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



4. სილაბუსებში შეტანილი შეფასების ზოგიერთი გრაფა ზედმეტად დეტალურია. ზოგიერთ გრაფაში მითითებულია რამდენიმე კრიტერიუმისთვის მინიჭებული 0,5 ქულა. ეს გრაფები ზედმეტად დეტალური და გასაგებად რთული ჩანს. რჩევა იქნება, ეს გრაფები გაამარტივოთ და ნაკლებ დეტალური გახადოთ.
5. ორივე პროგრამისთვის მიზანშეწონილია, რომ ბიუჯეტში მკაფიოდ ჩაიწეროს შემოსავლის ყველა პოტენციური წყარო და ხარჯების ყველა კომპონენტი.
6. მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება პროგრამის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესში მათი ჩართულობის შესახებ.
7. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს ტრენინგი პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალისთვის, რათა შეიმუშაოს უფრო ეფექტური და უფრო ადვილად აღქმადი პირდაპირი ინსტრუმენტი პროგრამების შედეგებისა და მათი სწავლა/სწავლების შესაფასებლად.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია<sup>7</sup>

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 4 ნომბრის №1425437 გადაწყვეტილების საფუძველზე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს განესაზღვრა 7 რჩევა. შეიქმნა რჩევების შესრულებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, სადაც შედიოდნენ როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. დაწესებულება ორიენტირებული იყო რჩევების შესრულებაზე. ექსპერტმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასთან თანდართული დოკუმენტაცია. შეფასდა რჩევების შესრულების საკითხი. დაწესებულებამ თვითშეფასების ანგარიშში წარმოადგინა ინფორმაცია მხოლოდ 5 რჩევის შესრულების შესახებ. განსაზღვრული რჩევების შესრულება შეფასდა შემდეგნაირად:

**რჩევა 1 - შესრულებულია**

**რჩევა 3 - შესრულებულია**

**რჩევა 4 - შესრულებულია**

**რჩევა 6 - შესრულებულია**

**რჩევა 7 - მეტწილად შესრულებულია**

### დამატებითი ინფორმაცია<sup>8</sup>

<sup>7</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია

<sup>8</sup>საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში



### რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ<sup>9</sup>

სტანდარტის დასახელება <sup>10</sup>	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება <sup>11</sup>	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I <sup>12</sup>	უმადლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიტანოს კვლევის დაგეგმვა და განხორციელება პროგრამის სწავლის შედეგებში, როგორც ამას ის უკვე გეგმავს. (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა);
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულებამ მოახდინა პროგრამის მე-4 სწავლის შედეგის მოდიფიცირება, სადაც გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებული „გეგმავს და ახორციელებს კვლევებს პროფესიული განვითარებისათვის“. ამ ცვლილების შესაბამისად, შევიდა ცვლილებები შესაბამის სასწავლო კურსებში, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაში. ამასთან, პროგრამაში შეტანილია „პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის“ კომპონენტი. <b>რეკომენდაცია შესრულებულია.</b>
რჩევა <sup>13I</sup>	განიხილეთ პროგრამის ცალკეულ მიზნებს შორის გაძლიერების შესაძლებლობა.
შეფასება	პროგრამის ცალკეულ მიზნებს შორის გაძლიერების შესაძლებლობის განხილვის და შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც იმუშავა აღნიშნულ საკითხზე.
მტკიცებულებ(ებ)ი <sup>ა</sup>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამა;</li> <li>• პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა.</li> <li>• დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში.</li> </ul>

<sup>9</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

<sup>10</sup>სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>11</sup>კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

<sup>12</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>13</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)





სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია I <sup>14</sup>	-
შეფასება	-
რჩევა <sup>15</sup> III	უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს მემორანდუმები რეგიონის სხვა სკოლებთან, რათა მის სტუდენტებს სასკოლო პრაქტიკის უფრო მრავალფეროვანი შესაძლებლობები მისცეს. აშკარაა, რომ უკეთესი იქნება სტუდენტებისთვის, თუკი მეტი ისეთი სკოლა ექნებათ, სადაც მათი პრაქტიკული აქტივობები განხორციელდება.
შეფასება	რჩევის შესრულების მიზნით გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი 10 სკოლასათნა.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• წარმოდგენილი დანართი 2;</li> <li>• დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია II <sup>16</sup>	უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, კერძოდ, საერთაშორისო პარტნიორებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის გახსნა, სტუდენტების მობილობაში ინვესტირება, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში და ა.შ.
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულებას გადადგმული აქვს გარკვეული ნაბიჯები. საანგარიშო პერიოდში გაფორმებული აქვთ მემორანდუმი ორ უცხოურ უნივერსიტეტთან, ერთმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, ერთი სტუდენტი დარეგისტრირებულია მონაწილეობა

<sup>14</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>15</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>16</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	მიიღოს საერთაშორისო კონფერენციაში. წარმოდგენილია საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობის გეგმა. თუმცა, ამ მიმართულებით სასწავლო უნივერსიტეტს კიდევ აქვს განვითარების საჭიროება. <b>რეკომენდაციის შესრულება დაწყებულია.</b>
რჩევა <sup>17</sup> I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობის გეგმა;</li> <li>• დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1. ადამიანური რესურსები
რეკომენდაცია III <sup>18</sup>	უსდ-მ უნდა დაუჭიროს მხარი პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესებას, რაც ძალიან სასარგებლო იქნება პროგრამების განვითარებისთვის, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიღწევებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისთვის.
შეფასება	<p>დაწესებულება ორიენტირებულია პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. საანგარიშო პერიოდში ინგლისური ენის სასერტიფიკატო გამოცდები ჩააბარეს ერთმა ასიციირებულმა პროფესორმა და სამმა მოწვეულმა პერსონალმა.</p> <p>გარდა ამისა, ჩატარდა გამოკითხვა, რომლის საფუძველზე გამოიკვეთა ის მიმართულებები, რომლებშიც პერსონალს ესაჭიროებოდა ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესება - დარგობრივი ლექსიკის გამდიდრება, საერთაშორისო თანამშრომლობისათვის საჭირო კომუნიკაციის უნარები.</p> <p>მოიწვიეს ინგლისური ენის სერტიფიცირებული სპეციალისტები, რომლებიც კვირაში ერთხელ, შაბათ დღეს, ორი საათის განმავლობაში ატარებენ მეცადინეობებს.</p> <p>ბიბლიოთეკაში მოეწყო ინგლისურ ენაზე გამოცემული</p>

<sup>17</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>18</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	ლიტერატურის ანოტაციების სტენდი. <b>რეკომენდაცია შესრულებილია.</b>
რჩევა <sup>19</sup> I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ი <sup>ა</sup>	<ul style="list-style-type: none"> <li>წარმოდგენილი დანართი 4;</li> <li>დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1. ადამიანური რესურსები
რეკომენდაცია IV <sup>20</sup>	უსდ-მ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის კონტროლისთვის, რაც მოიცავს მათ დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც.
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა მექანიზმი, რომელიც ავალდებულებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე წარმოადგინოს ცნობა სხვა უსდ-ში დატვირთვის შესახებ. აღნიშნული ვალდებულება გაიწერა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (27-ე მუხლის მე-7 პუნქტი). ამჟამად, აკადემიური და მოწვეული პერსონალი სხვა უსდ-ში დასაქმებული არ არის. <b>რეკომენდაცია შესრულებულია.</b>
რჩევა <sup>21</sup> I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ი <sup>ა</sup>	<ul style="list-style-type: none"> <li>სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (27-ე მუხლის მე-7 პუნქტი);</li> <li>დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1. ადამიანური რესურსები
რეკომენდაცია V <sup>22</sup>	უსდ-მ უნდა დაუჭიროს მხარი მის აკადემიურ

<sup>19</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>20</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>21</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>22</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	პერსონალს სამეცნიერო პროდუქტიულობის გაძლიერების მიზნით, განსაკუთრებით, მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებისათვის და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობისთვის.
შეფასება	საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო სამმა აკადემიურმა პერსონალმა, ხოლო ერთმა აკადემიურმა პერსონალმა გამოაქვეყნა სტატია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ორი სტატია მიღებულია დასაბეჭდად. ამ მიმართულებით დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს მუშაობა და უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რასაც გარკვეული პერიოდი ესაჭიროება. <b>რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.</b>
რჩევა <sup>23</sup> I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ი <sup>ა</sup>	<ul style="list-style-type: none"> <li>წარმოდგენილი დანართი 6;</li> <li>დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4. მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია VI <sup>24</sup>	უსდ-მ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებული სამეცნიერო ბაზები იყოს სისტემატურად ხელმისაწვდომი აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის.
შეფასება	როგორც დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშშია მოყვანილი, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა ბიბლიოთეკის ტექნიკურად გაუმჯობესებით. საჭიროების კვლევამ აჩვენა, რომ პერსონალის და სტუდენტების უმეტესობამ არ იცოდა მათი სარგებლობის წესები. ურთიერთსწავლებით და შეხვედრებით სიტუაცია გაუმჯობესდა, თუმცა დაწესებულება აღნიშნავს ამ მიმართულებით ტრენინგების ჩატარების აუცილებლობას, ამასთან, დაიგეგმა ოქტომბერში ჩატარებულიყო სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ ტრენინგი. სასწავლო უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს აკადემიური პერსონალისთვის დაგეგმილი ტრენინგის გეგმა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით

<sup>23</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>24</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	სარგებლობის შესახებ. <b>რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია.</b>
რჩევა <sup>25</sup> IV	ორივე პროგრამისთვის მიზანშეწონილია, რომ ბიუჯეტში მკაფიოდ ჩაიწეროს შემოსავლის ყველა პოტენციური წყარო და ხარჯების ყველა კომპონენტი.
შეფასება	თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ აღნიშნული რჩევა დაწესებულებამ გაითვალისწინა.
მტკიცებულებ(ებ)ი <sup>ა</sup>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტრენინგის გეგმა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესახებ;</li> <li>• დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1. შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VII <sup>26</sup>	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააქტიუროს მუშაობა (ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები), რომ მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს უკეთ ფორმულირება სწავლა-სწავლების შეფასების შედეგების (გაზომვადი ზმნების გამოყენება); ეს გაამარტივებს სწავლა-სწავლების პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას შემდეგ ეტაპებზე.
შეფასება	როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მოყვანილი ჩატარდა რიგი სამუშაო შეხვედრები ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერებთან, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდებთან, შედეგების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და სხვ. <b>რეკომენდაცია შესრულებულია.</b>
რჩევა <sup>27</sup> VI	მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება პროგრამის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესში მათი ჩართულობის შესახებ.
შეფასება	როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მოყვანილი ჩატარდა რიგი სამუშაო შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეფასების პროცესებთან და

<sup>25</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>26</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>27</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. <b>რჩევა შესრულებულია.</b>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>წარმოდგენილი დანართები 8, 9, 10 და 11;</li> <li>დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია VIII <sup>28</sup>	რეკომენდირებულია, რომ ჩატარდეს ბაზრის სიღრმისეული კვლევა და პროგრამების საჭიროებების კვლევა მასწავლებლების მომზადების მიზნით, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის. და, უნდა განვითარდეს ჩართული მხარეების გამოკითხვის ეფექტური ინსტრუმენტი, იგივე მიზნისთვის.
შეფასება	როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის საჭიროებების კანონზომიერებების სხვადასხვა ფაქტორი, განახორციელა გარკვეული ანალიზი, გარდა ამისა, ჩატარდა კვლევები და სამუშაო შეხვედრები, შესწავლილ იქნა კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები და რეალური მდგომარეობა. <b>რეკომენდაცია შესრულებულია.</b>
რჩევა <sup>29</sup> II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>დანართები 12, 13, 14 და 15;</li> <li>დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია IX <sup>30</sup>	რეკომენდირებულია სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ანალიზი გაკეთდეს ყოველ სემესტრში,

<sup>28</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>29</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>30</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	რადგან ეს შესაძლებელია გახდეს ფუნდამენტი მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის, რაც უნდა განხორციელდეს, როგორც არის სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლისა და შეფასების მეთოდების ან შეფასების ფორმების ცვლილება და ა.შ.
შეფასება	დაწესებულებამ იმსჯელა, თუ როგორ ჯობდა წარმართა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სემესტრული ანალიზი. შეიქმნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო ჯგუფი. დანერგულია შეფასების კრიტერიუმების გამოყენება, რომელიც აღწერს სტუდენტის მოლოდინს, თუ რა აქვს გასაკეთებელი. შექმნილია სტუდენტთა აკადემიური მიღწევების სემესტრული ანალიზის ფორმა. წარმოდგენილია ანალიზის ერთი შევსებულ ფორმა. <b>რეკომენდაცია შესრულებულია.</b>
რჩევა <sup>31</sup> VII	სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს ტრენინგი პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალისთვის, რათა შეიმუშაოს უფრო ეფექტური და უფრო ადვილად აღქმადი პირდაპირი ინსტრუმენტი პროგრამების შედეგებისა და მათი სწავლა/სწავლების შესაფასებლად.
შეფასება	პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან ჩატარდა შეხვედრები, მომზადდა პროგრამის სწავლის შედეგებისა და სწავლა/სწავლების მეთოდების შეფასების მეთოდოლოგია. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს მუშაობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით. <b>რჩევა მეტწილად შესრულებულია.</b>
მტკიცებულებ(ებ)ი <sup>ა</sup>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დანართები 16 და 17;</li> <li>• დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში.</li> </ul>

### თანდართული დოკუმენტაცია<sup>32</sup>

არ აქვს.

<sup>31</sup>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

<sup>32</sup>თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა



ექსპერტის ხელმოწერა